**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №59**
**CPV: 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები**

ქ. თბილისი 07 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"** (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **ნოდარ ხარაზიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „პსპ აფთიაქი"** მისი დირექტორი **კახაბერ ფანჩულიძის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „$ს^1$" საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სხვადასხვა დასახელების სამედიცინო პრეპარატების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2. ხელშეკრულების ობიექტია, დანართი N1-ში (ინვოისი) მითითებული პრეპარატების მოწოდება:

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 107,06 (ასშვიდი ლარი და 06 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ. ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი პეტრე ხუციშვილი.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.
6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2014 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით** და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

### *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნომდებლობით დადგენილი წესით.

### *11. ფორს-მაჟორი*

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.
13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" | შპს ,,პსპ აფთიაქი" |
| ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა. | ს/კ: 202199575 |
| ს.ნ. 200279448 | |
| ტელეფონი: 570503001 | საბანკო რეკვიზიტები: |
| nodar_ter@yahoo.com | |
| სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი | სს ,,ბანკი რესპუბლიკა" |
| საბანკო კოდი TBCBGE22 | |
| ან.ა. GE22 TB78 3203 6080 1000 02 | ბანკის კოდი: REPLGE22; |
| სახელმწიფო ხაზინა | |
| საბანკო კოდი: 220101222 ან.ა: 200122900 | ა/ა GE30BR0000010228710698 |
| დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი | დირექტორი: კახაბერ ფანჩულიძე |
| ---------------------------- (ხელმოწერა) | ---------------------------- (ხელმოწერა) |

*P Apotheca N34 - SECTOR-1* ანგარიშ-ფაქტურა 159 თარიღი: 03/10/2014

მომწოდებელი: PSP Apotheca N34
მისამართი: თბილისი გლდანის 7მ.4კ.1სართ.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკა" GE30BR0000010228710698
მიმღები:
ვისზე გაიცა: ხარაზიშვილი ნოდარი

კურსი $/L: 1.800

| N | დასახელება / ქარხანა | რაოდ. | ერთ. | ფასი | ღირებ. | ვადა სერია | ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>31 | ანალგინი ტაბ. 0.5გ N20<br>Sofarma | 2.5 | 50 | 0.490 | 1.225 | 390314<br>03/2019 | 0.5 |
| 2.<br>53 | ბამბა სამედიცინო 50გ<br>Amethist food | 4. | | 0.450 | 1.800 | 01<br>01/2019 | 20. |
| 3.<br>152 | ბინტი სტერ.7x14<br>ახტამარი(ივანოვ | 4. | | 0.800 | 3.200 | 2014-04<br>04/2019 | 49. |
| 4.<br>86 | ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ<br>შ.პ.ს. «დავათი» | 2. | | 0.290 | 0.580 | 17010814<br>08/2017 | 21. |
| 5.<br>5 | ეთანოლი 95% 100მლ მინის<br>ბიოფარმი-L | 2. | | 1.800 | 3.600 | 010114<br>01/2019 | 16. |
| 6.<br>116 | ერინიტი ტაბ.0,01გ N50<br>ფარმაკოლი | 1. | | 2.900 | 2.900 | 050314<br>03/2017 | 4. |
| 7.<br>192 | ესპუმიზანი კაფს. 40მგ N25<br>Berlin-chemie ( | 2. | | 3.350 | 6.700 | 31504<br>03/2016 | 7.76 |
| 8.<br>109 | ვალერიანის ექსტ.ტაბ.N50<br>ბორისოვის მედ.ქ | 2. | | 0.350 | 0.700 | 680314<br>04/2016 | 23. |
| 9.<br>29 | ვალიდოლი ტაბ.0.06გ N10<br>ფარმაკი | 30. | | 0.430 | 12.900 | 3111213<br>01/2016 | 32. |
| 10.<br>203 | თერმომეტრი<br>Medicare | 2. | | 1.160 | 2.320 | 130910<br>09/2020 | 17. |
| 11.<br>128 | იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ<br>შ.პ.ს. «დავათი» | 2. | | 0.500 | 1.000 | 15010813<br>08/2016 | 34. |
| 12.<br>20 | კორდიამინი წვეთები 25% 15მლ<br>ნეოფარმი | 2. | | 1.600 | 3.200 | 012014<br>01/2019 | 9. |
| 13.<br>112 | კორვალოლი 25მლ<br>მარბიოფარმი | 2. | | 0.700 | 1.400 | 270214<br>09/2015 | 55. |
| 14.<br>90 | კორსიზი ტაბ. N100<br>ავერსი-რაციონალ | 0.5 | 50 | 12.500 | 6.250 | 200614<br>12/2015 | 3.4 |
| 15.<br>2 | ლეიკო ბაქტ.19x72"სტარბანტი"N10<br>Cansin | 10. | | 0.250 | 2.500 | 222-1250<br>11/2018 | 147. |
| 16.<br>69 | ნიშადურის სპირტი 10% 100მლ ფლ<br>შ.პ.ს. «ეუბიოტი» | 1. | | 0.680 | 0.680 | 120414<br>04/2016 | 21. |
| 17.<br>197 | ნო-შპა ტაბ. 40მგ N100<br>Chinoin | 1. | | 6.950 | 6.950 | 4V044<br>01/2017 | 33.5 |
| 18.<br>81 | პაპაზოლი ტაბ. N10 ბლისტერი<br>დარნიცა | 2. | | 0.550 | 1.100 | FS10214<br>03/2019 | 83. |
| 19.<br>81 | პარაცეტამოლი ტაბ. 500მგ N10<br>Umedica | 5. | | 0.360 | 1.800 | EXP 04-17<br>04/2017 | 87. |
| 20.<br>21 | რაუნატინი ტაბ.0.002გ.N50<br>ზდაროვიე | 1. | | 2.750 | 2.750 | 70514<br>05/2017 | 241.4 |
| 21.<br>300 | სუპრასტინი ტაბ.25მგ.N20<br>EGIS | 2. | | 5.350 | 10.700 | 675A0813<br>08/2018 | 1.05 |
| 22.<br>203 | წნევის საზ.აპარატი ფონენდოსკოპ<br>ალიუტორი | 1. | | 32.000 | 32.000 | 00/0000 | 0. |
| 23.<br>112 | წყალბადის ზეჟანგი 3% 40მლ<br>ფიტომირის ფ.ფ. | 2. | | 0.400 | 0.800 | 2210913<br>09/2016 | 12. |

83 ასშვიდი ლარი და 05.5 თეთრი **107.055**

მედიკამენტები სერთიფიცირებულია. ხარისხის სერთიფიკატი ინახება ფირმაში

გასცა: ____________________ მიიღო: ____________________

LEPL COMMUNITY COLLEGE "GLDANI VOCATIONAL

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 13 ოქტომბერი, 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" (შემდგომში "შემსყიდველი") მისი მატერიალური რესურსების კოორდინატორი პეტრე ხუციშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შპს ,,პსპ აფთიაქი"

(დაწესებულების დასახელება)

დირექტორი კახაბერ ფანჩულიძე

(ხელმძღვანელის დასახელება)

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 7 ოქტომბრის №59 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) თანახმად და პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებით დანართი N1 (ივოისში) ჩამონათვალის, რაოდენობებისა და ფასების გათვალისწინებით შესაბამისი (CPV: **33600000** - ფარმაცევტული პროდუქტები) ანგარიშსწორების საერთო თანხით - 107,06 (ასშვიდი ლარი და 06 თეთრი) ლარი.

აღნიშნული აქტი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი ეგზემპლარი ბარდება "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი – "მიმწოდებელს").

"შემსყიდველი"
მატერიალური რესურსების კოორდინატორი პეტრე ხუციშვილი

"მიმწოდებელი"
დირექტორი კახაბერ ფანჩულიძე

PSP Apotheca N34 - SECTOR-1 ანგარიშ-ფაქტურა 159 თარიღი: 03/10/2014

მომწოდებელი: PSP Apotheca N34
მისამართი: თბილისი ბლდანის 7მ.4კ.1სართ.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკა" GE30BR0000010228710698

კურსი $/L: 1.800

მიმღები:
ვისზე გაიცა: ხარაზიშვილი ნოდარი

| N | დასახელება / ქარხანა | რაოდ. | ერთ. | ფასი | ღირებ. | ვადა სერია | ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ანალგინი ტაბ. 0.5გ N20<br>31 Sofarma | 2.5 | 50 | 0.490 | 1.225 | 390314<br>03/2019 | 0.5 |
| 2. | ბამბა სამედიცინო 50გ<br>53 Amethist food | 4. | | 0.450 | 1.800 | 01<br>01/2019 | 20. |
| 3. | ბინტი სტერ.7x14<br>152 ახტამარი(ივანოვ | 4. | | 0.800 | 3.200 | 2014-04<br>04/2019 | 49. |
| 4. | ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ<br>86 შ.პ.ს. "დავათი" | 2. | | 0.290 | 0.580 | 17010814<br>08/2017 | 21. |
| 5. | ეთანოლი 95% 100მლ მინის<br>8 ბიოფარმ-L | 2. | | 1.800 | 3.600 | 010114<br>01/2019 | 16. |
| 6. | ერინიტი ტაბ.0,01გ N50<br>116 ფარმაკოლი | 1. | | 2.900 | 2.900 | 050314<br>03/2017 | 4. |
| 7. | ესპუმისანი კაფს. 40მგ N25<br>192 Berlin-chemie ( | 2. | | 3.350 | 6.700 | 31504<br>03/2016 | 7.76 |
| 8. | ვალერიანის ექსტ.ტაბ.N50<br>109 ბორისოვოს მედ.ქ | 2. | | 0.350 | 0.700 | 680314<br>04/2016 | 23. |
| 9. | ვალიდოლი ტაბ.0.06გ N10<br>29 ფარმაკი | 30. | | 0.430 | 12.900 | 3111213<br>01/2016 | 32. |
| 10. | თერმომეტრი<br>203 Medicare | 2. | | 1.160 | 2.320 | 130910<br>09/2020 | 17. |
| 11. | იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ<br>128 შ.პ.ს. "დავათი" | 2. | | 0.500 | 1.000 | 15010813<br>08/2016 | 34. |
| 12. | კორდიამინი წვეთები 25% 15მლ<br>20 ნეოფარმი | 2. | | 1.600 | 3.200 | 012014<br>01/2019 | 9. |
| 13. | კორვალოლი 25მლ<br>112 მარბიოფარმი | 2. | | 0.700 | 1.400 | 270214<br>09/2015 | 55. |
| 14. | კორსიზი ტაბ. N100<br>90 ავერსი-რაციონალ | 0.5 | 50 | 12.500 | 6.250 | 200614<br>12/2015 | 3.4 |
| 15. | ლეიკო ბაქტ.19x72"სტარბანტი"N10<br>2 Cansin | 10. | | 0.250 | 2.500 | 222-1250<br>11/2018 | 147. |
| 16. | ნიშადურის სპირტი 10% 100მლ ფლ<br>69 შ.პ.ს. "ეუბიოტი" | 1. | | 0.680 | 0.680 | 120414<br>04/2016 | 21. |
| 17. | ნო-შპა ტაბ. 40მგ N100<br>197 Chinoin | 1. | | 6.950 | 6.950 | 4V044<br>01/2017 | 33.5 |
| 18. | პაპაზოლი ტაბ. N10 ბლისტერი<br>81 დარნიცა | 2. | | 0.550 | 1.100 | FS10214<br>03/2019 | 83. |
| 19. | პარაცეტამოლი ტაბ. 500მგ N10<br>81 Umedica | 5. | | 0.360 | 1.800 | EXP 04-17<br>04/2017 | 87. |
| 20. | რაუნატინი ტაბ.0.002გ.N50<br>21 ზდაროვიე | 1. | | 2.750 | 2.750 | 70514<br>05/2017 | 241.4 |
| 21. | სუპრასტინი ტაბ.25მგ.N20<br>300 EGIS | 2. | | 5.350 | 10.700 | 675A0813<br>08/2018 | 1.05 |
| 22. | წნევის საზ.აპარატი ფონენდოსკოპ<br>203 ალიუტორი | 1. | | 32.000 | 32.000 | 00/0000 | 0. |
| 23. | წყალბადის ზეჟანგი 3% 40მლ<br>112 ჟიტომირის ფ.ფ. | 2. | | 0.400 | 0.800 | 2210913<br>09/2016 | 12. |

83 ასშვიდი ლარი და 05.5 თეთრი **107.055**

მედიკამენტები სერთიფიცირებულია. ხარისხის სერთიფიკატი ინახება ფირმაში

გასცა: ____________________ მიიღო: ____________________